мых фраз на значение опознанных в стимулах слов: в одних и тех же стимулах в подавляющем большинстве случаев (77%) опознаются (читаются) совершенно различные слова, соответственно смыслу фраз. Это же условие сокращает в некоторых случаях и время опознания в стимуле слова. Так как в основных экспериментах инструкция не связывала содержания фраз со стимулами, а сами испытуемые обычно даже не догадывались об этой связи, здесь мы имеем дело с такой целостностноличностной настройкой субъекта, которая хотя сама и не является содержанием сознания, однако явно влияет на это содержание, определяя качество последующего восприятия. Экспериментально выявленный факт различной реконструкции-интерпретации одного и того же буквографического стимула является результатом действия именно этого фактора установки.

Как показал сравнительный статистический анализ результатов основных и дополнительных экспериментов, осознание наличия смысловой связи между фразами и словами, которые могли опознаваться в стимулах, не вызвало ощутимого усилия установки ( $P > 0,20$ ). Исходя из понятия установки Д. Н. Узнадзе этого следовало ожидать, поскольку установка — «внесознательный психический процесс, оказывающий решающее влияние на содержание и течение сознательной психики» ([4], стр. 149).

Предлагается следующая схема установочного механизма опознания слова. Вначале фразы активируют у субъекта более общую установку, соответствующую определенной сфере или классу явлений. Предъявление вслед за этим определенного буквографического стимула вызывает на этой основе сравнительно быструю активацию конкретной установки, опосредствующей восприятие стимула как определенного слова.



Для объяснения зависимости порогов опознания слов от их частотных характеристик фундаментальное значение имеет понятие «фиксированной установки» Д. Н. Узнадзе. Согласно экспериментам школы Д. Н. Узнадзе, легкость активации той или иной установки зависит от степени ее фиксации в прошлом [4]. Следовательно, можно полагать, что чем чаще человеку встречалось в прошлом то или иное слово, тем прочнее соответствующая ему установка и тем легче она у него возбуждается.

ბ. კეჩუაშვილი

სიტყვის ცნობის განწყობისეული მიქანიზმის შესახებ

რ ე ზ ი მ ე

სიტყვის ცნობის ზღურბლზე მისი სიხშირის მაჩვენებლის გავლენის აღმოჩენის შემდეგ განსაკუთრებით აქტუალური შეიქმნა სიტყვის აღქმის გამაშუალებელი ფსიქოლოგიური მექანიზმის საკითხი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს მოვლენა პასუხისაღმი მიდრეკილების ეფექტს (response bias) წარმოადგენს და განწყობისეულ ხასიათს ატარებს (ბლანშეტო და ფრესი, ბროდბენტი და სხვა).

განწყობის ფსიქოლოგიის მიერ კარგა ხანია ექსპერიმენტულად შეისწავლება ე. წ. „ენობრივი განწყობის“ საკითხები სიტყვების, ფრაზებისა და მოკლე პროზაული ნაწყვეტების აღქმის მასალაზე (დ. უზნაძე, ზ. ხოჯავა, დ. რამიშვილი, ნ. ელიავა და სხვები).

გრაფემების გამოტოვებით დამახინჯებულ ქართულ ასოგრაფიულ კომპლექსებში სიტყვების ცნობის საგანგებო ექსპერიმენტებმა სტატისტიკურად დამაჯერებლად ( $P < 0,005$ ) აჩვენა წინასწარ აქტივირებული განწყობის განსაზღვრული და წარმმართველი მნიშვნელობა: ერთსა და იმავე ასეთ ხარვეზოვან კომპლექსში სრულიად სხვადასხვა სიტყვა ამოიკითხება იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსის ფრაზების წაკითხვას ვევალებთ მანამდე ცდის სუბიექტს.

ცდებში გამოვლენილი სიტყვების ცნობის მექანიზმი ასეთია: ფრაზების კითხვა აღძრავს სუბიექტში თავისი შინაარსის შესატყვის განწყობას, ხოლო ამის შემდეგ ხარვეზოვანი კომპლექსის ექსპონირება იწვევს აქტივირებული განწყობის შედარებით სწრაფ დიფერენციაციას. სტიმულის, როგორც გარკვეული მნიშვნელობის სიტყვის, აღქმა ამ დიფერენცირებული განწყობის საფუძველზე ხდება. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დ. უზნაძის „ეფექსირებული განწყობის“ ცნება უაღრესად ნაყოფიერი შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვების სიხშირის ეფექტის ახსნისათვის.

PSYCHOLOGY

G. N. KECHKHUASHVILI

ON THE SET-DETERMINED MECHANISM OF WORD RECOGNITION

Summary

The discovery of the influence of the frequency factor on the threshold of word recognition led to the posing of the problem of the psychological mechanism mediating word recognition. According to some authors this phenomenon is accounted for by a response bias and is set-determined in its nature (Blancheteau and Fraisse, Broadbent and others).


Problems of the so-called "language set" have been studied for some time in the psychology of set on the material of the perception of words, phrases, and short passages of prose (D. Uznadze, Z. Khojava, D. Ramishvili, N. Eliava and others).

Special experiments in the recognition of Georgian words, distorted through the omission of letters, have shown, with statistical validity



( $P < 0,005$ ), the determining and leading significance of a set activated by the S prior to his attempting to reconstruct the word: absolutely different words are read into the same compounds with omissions conformably to the meaning of the phrases the S is instructed to read before he is given the words to reconstruct.

The mechanism of word recognition, as revealed by the experiment, appears to be this: the reading of phrases creates in the S a set corresponding to their meaning. Subsequent exposure of words with omissions leads to a relatively rapid differentiation of the activated set. Perception of a stimulus as a word of a definite meaning occurs on the basis of this differentiated set



There are reasons to believe that D. Uznadze's concept of fixated set may prove very fruitful in accounting for the word frequency effect.

#### ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. W. R. Garner. *Uncertainty and Structure as Psychological Concepts*. John Wiley, New-York, 1962.
2. M. Blancheteau et Fraise. *L'année psychologique*, 63, № 2, 1963.
3. D. E. Broadbent. XVIII International Congress of Psychology, 23 Symposium, Moscow, 1966.
4. Д. Н. Узнадзе. *Психологические исследования*. М., 1966.
5. Г. Н. Кечухашвили. *Второй симпозиум по проблеме «человек-машина»*. Тезисы докладов, М., 1966.
6. Г. Н. Кечухашвили. *Труды Тбилисского гос. ун-та*, т. 128, 1968 (на груз. яз.).

ო. ბარბაქაძე

## არჩევნის რეაქციის დრო და განწყობა

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ფრანგივილმა 18.12.1969)

არჩევნის რეაქციების ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით კვლევას საფუძველი ჩაუყარა ჰიემა. მან ჩამოაყალიბა დებულება არჩევნის რეაქციის დროის დამოკიდებულების შესახებ იმ ინფორმაციის რაოდენობაზე, რომელსაც სტიმული შეიცავს.

რეაქციის დროის ინფორმაციის რაოდენობაზე დამოკიდებულების პრობლემის ჰიესემდგომმა ექსპერიმენტულმა კვლევამ ეჭვის ქვეშ დააყენა ჰიესის მიერ დადგენილი კანონი. მონახულ იქნა მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებსაც არსებითი კორექტივი შეაქვთ აღნიშნული კანონზომიერების გაგებაში. უახლესი გამოკვლევებით დადგინდა, რომ გადატანილ ინფორმაციასა და რეაქციის დროს შორის ზემოაღნიშნული დამოკიდებულება ირლვევა გახანგრძლივებული პრაქტიკის (გარჯიშის) პირობებში, სტიმულსა და რეაქციას შორის მაღალი თავსებადობის პირობებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მოუბრეის ექსპერიმენტი, იგი ცდისპირებს აჩვენებდა არაბულ ციფრებს და თხოვდა რაც შეიძლება სწრაფად დაესახელებინათ ისინი. გამოყენებული იყო არჩევნის ხუთი ხარისხი (2, 4, 6, 8 და 10 ალტერნატივა). ცდისპირთა ყოველ ჯგუფს ეძლეოდა მხოლოდ ერთი ექსპერიმენტული პირობათაგანი. ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველა ჯგუფის ცდისპირები, მიუხედავად ალტერნატიული სტიმულების რიცხვისა, აჩვენებდნენ საშუალო დროს ციფრზე — 0,47 სეკ. ე. ი. ამ ცდებში ნაჩვენებები იქნა, რომ გარკვეულ პირობებში რეაქციის სისწრაფე არ არის დამოკიდებული სტიმულში შემავალი ინფორმაციის რაოდენობაზე, სახელდობრ, რომ დრო, აუცილებელი ციფრების დასახელებისათვის, არაა დამოკიდებული შემადგენელი ალტერნატივების რიცხვზე. აქედან გამომდინარე იქნა დასკვნა, რომ ჰიესის კანონი მართლდება მხოლოდ გავარჯიშების დაბალი დონის შემთხვევაში.

მაგრამ ასეა სინამდვილეში? ან კი როგორ უნდა გავიგოთ გავარჯიშებულობა? არის კი გავარჯიშებულობის ცნება სერიოზული არგუმენტი იმ დასკვნების წინააღმდეგ, რომლებიც მოუბრეის ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით იქნა გამოტანილი? აღნიშნული ექსპერიმენტის მონაცემების ინტერპრეტაციის დროს ხომ არ გვისხლტება ხელიდან რაღაც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლის სათანადო გაგებას შეუძლია შუქი მოფინოს აღნიშნულ პრობლემას?

სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, გავიხსენოთ რეაქციის დროის კვლევის ექსპერიმენტები.

როდესაც ექსპერიმენტატორი ამოცანას აძლევს ცდისპირს, იგი ყოველ კერძო შემთხვევაში შემოუსაზღვრავს მას შესაძლო ალტერნატივების ჯგუფის მოცულობას. ამით იგი უქმნის ცდისპირს ალტერნატივების ხელოვნურ კლასს, საიდანაც ცდისპირმა არჩევანი უნდა მოახდინოს. ამ კლასებზე დაყრ-

დნობით ექსპერიმენტატორი განსაზღვრავს იმ ინფორმაციის საშუალო რაოდენობას, რომელსაც თითოეული სტიმული შეიცავს ყოველ კერძო შემთხვევაში. მაგრამ უპასუხებს კი მოუბრების ექსპერიმენტი ამ პირობებს? ხომ არ ცდება ექსპერიმენტატორი, როდესაც თვლის, რომ ცდისპირი ირჩევს იმ ხელოვნური კლასიდან, რომელიც მან თვითონ შეუქმნა? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, მიუხედავად ექსპერიმენტატორის მიერ შესაძლო ალტერნატივების წგუფის მოცულობის შემოსაზღვრისა, ცდისპირი ზოგიერთ შემთხვევაში არჩევანს მაინც ადრე ჩამოყალიბებული კლასიდან ახდენს, რომელიც მოცულობით განსხვავდება ექსპერიმენტატორის მიერ ხელოვნურად შექმნილი კლასისაგან?

საქმის ვითარების ამგვარი გაგება ბევრ რამეს გახდიდა გასაგებს. მართლაც, თუკი ცდისპირი ყოველთვის ერთი და იგივე კლასიდან ახდენს არჩევანს (თუმცა ექსპერიმენტატორს ჰგონია, რომ იგი აიძულებს მას აწარმოოს არჩევანი სხვადასხვა მოცულობის წგუფებიდან), მაშინ აზრი ეკარგება იმის თქმას, რომ ექსპერიმენტის სხვადასხვა სერიაში ინფორმაციის საშუალო რაოდენობა სხვადასხვაა. თუ ცდისპირი, მიუხედავად ამოცანების სხვადასხვაობისა, ყოველთვის ერთი და იგივე მოცულობიდან ახდენს არჩევანს, ცხადია, რომ ყველა შემთხვევაში ინფორმაციის საშუალო რაოდენობა ერთი და იგივე უნდა იყოს და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ რეაგირების დრო მუდმივია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოუბრების ექსპერიმენტში ცდისპირი არ ოპერირებს იმ კლასის ფარგლებში, რომელსაც მას თავს ახვევს ექსპერიმენტატორი. იგი არჩევანს ახდენს რომელიღაც სხვა, მუდმივი მოცულობის კლასიდან. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰკის კანონი რეაქციის დროს ინფორმაციის რაოდენობაზე დამოკიდებულების შესახებ ამ შემთხვევაში არ უნდა ირღვეოდეს.

ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრების ანალოგიური მოსაზრება გვხვდება Braihard, Jrby, Fitts, Allusi-ს ერთობლივ კვლევაში სახელწოდებით — „ზოგიერთი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს ინფორმაციის რაოდენობის ზრდაზე“. ავტორები გულისხმობენ, რომ, ვთქვათ, არაბული ციფრების მიწოდების შემთხვევაში, როდესაც ცდისპირმა ისინი უნდა დაასახლოს, შეიძლება ოპერირებდეს გარკვეული კოგნიტური სისტემა (Set), საიდანაც ცდისპირი არჩევანს ახდენს მუდმივად, მაგრამ ასეთი სისტემა არ ოპერირებს, როდესაც ციფრებზე საპასუხოდ ცდისპირს ევალება დილაკებზე ხელის დაჭერა ნათურის ასანთებანი. როგორც ავტორთა მოსაზრებიდან ჩანს, გადამწყვეტ მნიშვნელობას ისინი არ ანიჭებენ აღნიშნულ სისტემას, რადგანაც პირველ პლანზე მაინც სტიმულსა და პასუხს შორის თავსებადობა გამოჰყავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი სისტემის არსებობას რაიმე აზრი აქვს, მისი გავლენა უნდა გამოვლენილიყო როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიც.

უაახლოებით მსგავსი აზრია გატარებული მორინისა და ფორინის კვლევაში, რომელშიც გარკვეულ სისტემაში უცხო ელემენტები იყო ჩართული. ამ კვლევაშიც პრიორიტეტი თავსებადობის ფაქტორს ეკუთვნის.

თუ ეს ასეა, მაშინ ყველა შემთხვევაში, სადაც თავსებადობა სტიმულსა და პასუხს შორის დიდია, ერთნაირი შედეგები უნდა მივიღოთ.

ამ საკითხის საკვლევად ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტების სამი სერია. მათგან ორი სერია ადრე ჩატარებული ექსპერიმენტების გამეორებაა: რადგანაც შედეგების ურთიერთშესაბამებლად სასურველია ცდები ერთნაირ პირობებში იქნას ჩატარებული. ცდებში გამოყენებულ იქნა ციფრები, ასოები და

ფიგურები. ცდების პირველი სერია სამი ვარიანტისაგან შედგება. პირველ ვარიანტში ცდისპირებს ეძლეოდათ ორი ციფრი, მეორე ვარიანტში — ოთხი, მესამეში — რვა. ციფრის გამოჩენისთანავე მათ უნდა დაესახელებინათ იგი რაც შეიძლება სწრაფად. სავსებით ანალოგიურად იქნა ჩატარებული ცდები ასოებზე და ფიგურებზე.

თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პირველი ორი სერიის ასარჩევი ალტერნატივების რიცხვი შემოიფარგლება გარკვეული მოცულობით (ციფრები, ასოები), მესამე სერიის მასალა კი (ფიგურები), ასე ვთქვათ, უსაზღვროა. ამ ცდების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი რეაქციის სისწრაფეს სტიმულსა და პასუხს შორის თავსებადობა განსაზღვრავს, მაშინ ყველა სამ სერიაში შედეგები ანალოგიური უნდა იყოს, რამდენადაც ნაეარაუდევია, რომ ეს თავსებადობა სამივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია. თუკი არჩევის რეაქციის დროს განსაზღვრავს არა სტიმულსა და პასუხს შორის თავსებადობა, არამედ ასარჩევ სტიმულთა კლასის მუდმივი მოცულობა, მაშინ პირველ ორ შემთხვევაში კანონზომიერება ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ იგი უნდა დაირღვას მესამე შემთხვევაში. გარდა ამისა, თუ ჩვენი ვარაუდი ალტერნატივების გარკვეული მოცულობის კლასის არსებობის შესახებ მართალია, მაშინ არჩევის რეაქციის დროს ნაყლები უნდა იყოს ზმ შემთხვევაში, სადაც ეს მოცულობა მცირეა, და მეტი, — სადაც მოცულობა მეტია.

ექსპერიმენტის შედეგებიდან ჩანს, რომ ციფრებიდან და ასოებიდან არჩევის შემთხვევაში რეაქციის დრო მუდმივი რჩება ასარჩევი ალტერნატივების რიცხვის მიუხედავად. სრულიად განსხვავებული სურათია ფიგურების შემთხვევაში. აქ რეაქციის დრო მატულობს შესაძლო ალტერნატივების რაოდენობის მატების კვალბაზე. ამ შემთხვევისათვის ავებული გრაფიკი გამოიხატავს ჰიპის მიერ დადგენილ კანონზომიერებას, ე. ი. მიუხედავად გავარჯიშების ძლიერ მაღალი დონისა, რაც სტიმულსა და პასუხს შორის თავსებადობაში გამოიხატება.

რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია ჩვენი ექსპერიმენტის შედეგებიდან? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვარაუდი იმის შესახებ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ალტერნატივების არჩევა ხდება ერთი მუდმივი მოცულობის კლასიდან, თითქოს მართლდება, რადგანაც იქ, სადაც კი გვაქვს სავარაუდო კლასი (ციფრებისა და ასოების შემთხვევაში), მიუხედავად ექსპერიმენტატორის მიერ შემოსაზღვრული ალტერნატივების რაოდენობის, რეაქციის დრო მუდმივია, ე. ი. ცდისპირი არჩევანს ყოველთვის მისთვის გაფიქსირებული კლასის მთელი მოცულობიდან ახდენს. საქმე იმაშია, რომ თუკი ცდისპირის რეაქციის დრო დამოკიდებულია არა აღნიშნულ კლასზე, არამედ სტიმულსა და რეაქციას შორის თავსებადობაზე, მაშინ ასეთი გავარჯიშებულობის შემთხვევაში რეაქციის დრო საერთოდ ყოველთვის ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე გაუვარჯიშებულობის შემთხვევაში; ცდებიდან ჩანს, რომ რეაქციის დრო ნაკლებია ორი ფიგურიდან არჩევის შემთხვევაში.

თუ ეს ასეა, მაშინ ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გარკვეულ შემთხვევებში (ციფრები, ასოები) ინფორმაციის რაოდენობის ცვლის მიუხედავად არ იცვლება არჩევის დრო და ჰიპის კანონი ირღვევა, არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან, როგორც ირკვევა, მიუხედავად ექსპერიმენტატორის მიერ შემოსაზღვრული რაოდენობისა, ცდისპირი მუდმივად ერთი და იგივე რაოდენობიდან ახდენს არჩევანს. ეს კი ნიშნავს,

რომ ინფორმაციის რაოდენობა ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა და ამდენად ჰიკის კანონის დარღვევის შესახებ ლაპარაკი უმართებულოა. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ, თუნდაც, ციფრებსა და ასოებზე მიღებული მონაცემები. თუ ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ არჩევანი ერთი და იგივე მოცულობიდან ხდება მართალია, მაშინ უფრო დიდი კლასიდან არჩევის შემთხვევაში რეაქციის დრო მეტი უნდა იყოს.

როგორც ირკვევა, ინფორმაციის რაოდენობის განსაზღვრისას ექსპერიმენტატორმა ყოველთვის უნდა მიიღოს მხედველობაში ის გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლის საფუძველზე ცდისპირი ქმნის კლასებს, საიდანაც შემდგომში ალტერნატივების არჩევას ახდენს. ასეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი საბჭოთა ფსიქოლოგიაში ცნობილია ფიქსირებული განწყობის სახელით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიღა 18.12.1968)

ПСИХОЛОГИЯ

О. А. БЕРЕКАШВИЛИ

## ВРЕМЯ РЕАКЦИИ ВЫБОРА И УСТАНОВКА

Резюме

В новейших исследованиях показано, что в некоторых случаях нарушается установленный Хиком закон зависимости времени реакции от количества альтернативных стимулов и что, следовательно, время реакции выбора не зависит от количества информации, содержащейся в стимуле. Результаты опытов показывают, что в указанных выше случаях выбор производится постоянно из одного и того же алфавита возможных равновероятных альтернатив, несмотря на разность объемов групп альтернатив, задаваемых экспериментатором. Поэтому заключение о нарушении закона Хика не оправдывается. Объем постоянного класса, из которого всегда производится выбор, определяется фиксированной установкой.

PSYCHOLOGY

О. А. БЕРЕКАШВИЛИ

## CHOICE REACTION TIME AND SET

Summary

It has been shown in recent studies that in some cases "Hick's Law" concerning the dependence of reaction time upon the quantity of alternative stimuli is broken and, therefore, choice reaction time does not depend upon the amount of information contained in the stimulus.

The present writer's tests have shown that in the above cases the choice is constantly made from the same number of equiprobable alternatives in spite of the difference in the volumes of groups of alternatives presented by the E. Consequently the conclusion that Hick's law is broken cannot be accepted. The volume of the constant class from which the choice is invariably made is determined by a fixated set.



ბ. კახარავა

ერგატივის ერთი უცნობი ფუნქციონატის ზანურში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიგურმა 3.12.1968)

იბერიულ-კავკასიური ენების ბრუნვათა სისტემაში ერგატივი მიჩნეულია განსაკუთრებულ ადგილის მქონედ. ამ ბრუნვას ქართულში „ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება. ის ქვემდებარეს გამოხატავს, მაგრამ არა ყოველ შემთხვევაში. აქ ორი შეზღუდვა არსებობს: ა) მოთხოვნილი ქვემდებარეს გამოხატავს მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან და ბ) ამასაც მხოლოდ II სერიის მწკრივებთან“ (11, გვ. 682). არც ძველსა და არც თანამედროვე ქართულში ერგატივი სხვა ფუნქციით არაა ცნობილი.

ქვემდებარეს აღნიშნავს ერგატივი სვანურშიც, მაგრამ აქ მას, მთის ზოგი კავკასიური ენის მსგავსად, ე. წ. ირიბ ბრუნვასთან (მაგ. ვითარებითან) საერთო აფიქსი მოეპოვება (12, გვ. 48—49).

ქართველური ენებიდან ზანურში აღმოაჩინდა ერგატივის უფრო ვრცელი სამოქმედო არე, რადგანაც მისი გამოყენების ასპარეზი ვრცელია „მეგრულში გარდაუვალ ზმნათა ხარჯზე, ჰანურში—აწმყოსა და თურმეობითის მიმართულებით“ (13, გვ. 2).

ცნობილია, რომ წარმოქმნილ ზმნიზედებში შესაძლებელია გაქვევებულად მოგვევლინოს ყველა ბრუნვის ფორმა, გარდა ერგატივისა და წოდებითისა.

სვანური ენის ზმნიზედებზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია გულს ურთულესად ფორმების მეგრულმა ეკვივალენტმა ძალამქ („ძალიან“) სიტყვამ, რომელიც დაიშლება ძალ-, -ამ- და -ქ ელემენტებად. მეგრული ფორმის ფუძე ძალ- დაუკავშირდება ქართულის ასეთსავე ელემენტს, -ამ სუფიქსი მქონებლობას აღნიშნავს მეგრულში და ქართულის -იანი-იერ აფიქსის მნიშვნელობის მქონეა, ზოლო -ქ ელემენტი ერგატივის ნიშანია ზანურში.

ე. ყიფშიძე ძალამ (ძალიან) სიტყვას მიიჩნევს ვითარების ზმნიზედად. (14, გვ. 0114—0115). ჰანურში ამავე მნიშვნელობით იხმარება ქართულიდან შემოტანილი, მაგრამ სხვა ფუძის მქონე დიდოლქაჲ ფორმები. ნიმუშები ჰანურიდან: მაჩიჩა კაჲ დომაწონუ-ა-ა „მე მათხოვარი ძალიან მომეწონაო“ (15, გვ. 213); იხი მოხთა-ში ოხოჲ დიდო იკანწუნს „ქარი რომ მოდის, სახლი ძალიან ქანაობს“ (15, გვ. 200).

საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერგატივის ნიშნის შემცველი ძალამქ ფორმა მეგრულში იხმარება არა ყოველ შემთხვევაში, არამედ ზმნათა ერთ ჯგუფთან, რომელიც verba sentiend-ად იწოდება. ეს ზმნები შემდეგია: ახიოლუ (გაუხარდა), ეწყინუ (ეწყინა), ეორცუ (ეოცა), გუჟკვირდუ (გაუკვირდა), მეეწონუ (მოეწონა), აშქურინუ (შეეშინდა), ქეცოროფუ (შეუყვარდა), მაყუმენუ (მოსწყურდა), მააშქი-

რენუ (მოშვიდა), გააძიცინუ (გაეცინა), ქოდარულუ (დაეძინა), ქააგარინუ (ატირდა), გააჯოგუ (შესძულდა), აცუ (ექმნა), დააკორდუ (დააკლდა). აქვე შევნიშნავთ, რომ ორი უკანასკნელი სიტყვა (აცუ და დააკორდუ) არაა verba sentiendi, მაგრამ ერგატივის ნიშნის შემცველ ზმნიზედას მაინც უკავშირდება.

მაგალითები მეგრულიდან: ბოშის ძალამქ ახიოლუ ე ამბექ (ბიჭს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი) (41, გვ. 23), ათე როკაბის ძალამქე ეწყინ (ამ როკაბს ძალიან ეწყინა) (41, გვ. 32), ე ცირას ეორცე ძალამქე (ეს ქალიშვილი ძალიან გაოცდა) (41, გვ. 33), ...ძალამქ გუკვირდეს (ძალიან გაუკვირდათ) (61, გვ. 95), ე სამართაქ ირი კოს ძალანქ მეეწონე (ეს სამართალი ყველას (ყველა კაცს) ძალიან მოეწონა) (41, გვ. 44), ოსურც ხოლო ქეჯოროფ თე ნდემქ ძალამქ (ქალს კიდევ ძალიან შეუყვარდა ეს დევი) (61, გვ. 96), ძალამქ აშქურინუ (ძალიან შეეშინდა), ძალამქ მომამქირენუა (ძალიან მომშვიდაო), ოსურს ძალამქ გაძიცინუ (ქალს ძალიან გაეცინა), ძალამქ ქოდარულუ (ძალიან დაეძინა), ბალანას ქააგარინუ ძალამქ (ბავშვი ძალზე ატირდა), გააჯოგუ ძალამქ (ძალიან შესძულდა). ვერქ ძალამქ ქათამა ცუ (ძალიან მომინდა), დააკორდუ ძალამქ (ძალიან დააკლდა), ნოსაქ ძალამქ აცუ (რძალი კარგი (ძალიან) შეხვდა)

ყურადსაღებია ისიც, რომ ძალამქ ფორმა იხმარება ჩვენ მიერ მოყვანილ ზმნიზებთან მხოლოდ II სერიის მწკრივებში. საკმარისია სათანადო ზმნა გადაეყვანათ სხვა სერიის მწკრივებში, რომ ძალამქ-ის ნაცვლად მივიღოთ ძალამს ან ძალამი ფორმები.

სანიმუშოდ ავიღოთ ერთი ზმნა.

### II სერია

ძალამქ ახიოლუ თის თიქ (ძალიან გაუხარდა მას ის მან)

ძალამქ ახიოლას თის თიქ (ძალიან გაუხარდეს მას ის მან)

### I სერია

ძალამს|ძალამი ოხიოლუ თის თინა (ძალიან უხარია მას ის)

ძალამს|ძალამი ოხიოლუდუ თის თინა (ძალიან უხაროდა მას ის)

ძალამს|ძალამი ოხიოლუდას თის თინა (ძალიან უხაროდეს მას ის)

ძალამს|ძალამი ახიოლუ(ნ)ი თის თინა (ძალიან გაუხარდება მას ის)

ძალამს|ძალამი ახიოლუდას თის თინა (ძალიან გაუხარდებოდას მას ის)

ძალამს|ძალამი ოხიოლუდუკო თის თინა (ძალიან ხარებოდა მას ის)

### III სერია

ძალამი|ძალამს ხიოლებუ თის თინა (ძალიან ხარებია მას ის)

ძალამი|ძალამს ხიოლებუდუკო თის თინა (ძალიან ხარებოდა მას ის)

ძალამი|ძალამს ხიოლებუდას თის თინა (ძალიან ხარებოდეს მას ის).

დავაკვირდეთ მორფოლოგიურ (გრამატიკულ) სუბიექტს მეგრულში. იგი I და III სერიის მწკრივთა ფორმებში მოცემულ ზმნას სახელობითში შეეწყობა (თინა „ის“), ხოლო II სერიისაში — ერგატივში (თიქ „მან“): ობიექტი კი ბრუნვაუცვლელია (მიცემითშია).

ზმნიზედა ხომ შემასმენელთან (ზმნასთან) დაკავშირებული ფორმაუცვლელი სიტყვაა და რატომ უნდა იცვლიდეს იგი ფორმას სერების მიხედვით? ხომ არ არსებობს კავშირი გრამატიკულ სუბიექტსა და ამჟამად ზმნიზედის ფუნქციით მოვლენილ ძალამქ სიტყვას შორის? და თუ არსებობს, კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი?

ჩვენი აზრით, ძალამქ|ძალამქ|ძალამქ ფორმები ამჟამად ზმნიზედაა, რადგანაც ზმნას უკავშირდება და ვითარების გარემოებას გადმოსცემს, მაგრამ უფრო აღრეულ საფეხურზე იგი ზედსართავი სახელი იყო. უკავშირდებოდა არსებით სახელს და მასთან შეთანხმებულ მსაზღვრელს წარმოადგენდა. უფრო გვიან ძალამ ფუძე დაუკავშირდა ზმნას (შემასმენელს), რამდენადაც მან იკისრა ვითარების გარემოების აღნიშვნის მოვალეობა. ფუნქციის ცვლას მაშინვე არ მოჰყოლია ფორმის ცვლა. სახელი რომ ზმნიზედად გადაიქცევა, მას გაუქვევდება სათანადო ბრუნვის ფორმა. როგორც ჩანს, აღვერბიალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული ძალამ ფუძის შემდეგ ზმნიზედებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნებოდა სხვადასხვა ბრუნვის სახით წარმოდგენა ხსენებული ფუძისაგან ნაწარმოები ძალამ-ი, ძალამ-ქ და ძალამ-ს ზმნიზედებისა.

მეგრულში კიდევ აღმოჩნდა ორი სიტყვა, რომელიც ვითარების გარემოებას აღნიშნავს და II სერიის მწკრივებში დასმულ ზმნა-შემასმენელთან ერგატივის ნიშნის (-ქ) წარმოგვიდგენს. ეს სიტყვებია ნაბეტანიქ (მეტისმეტად) და დიდიქ. მაგალითები: ბეგოს ნაბეტანიქ ეწყინუ (ბეგოს ძალიან ეწყინა) (161, გვ. 99), ექ დიდიქ ახიოლ (ეს ამან) დიდად გაუხარდა (161, გვ. 193).

სხვათა შორის, სიტყვა ნამეტანი ქართულშიც იხმარება როგორც განსაზღვრების, ისე გარემოების ფუნქციით. წინადადებაში ნამეტანი აღერსი აფუქებს ყმაწვილსო (171, გვ. 1326), სიტყვა ნამეტანი მსაზღვრელადაა ნახმარი — უკავშირდება ქვემდებარეს და განსაზღვრავს მას. გარემოებას აღნიშნავს იგივე სიტყვა წინადადებაში — ნამეტანი-კი გამწარდება საწყალი (71, გვ. 1326) — ვითარების გარემოებაა, რადგანაც შემასმენელთანა დაკავშირებული და უბასუხებს კითხვაზე — როგორ გამწარდება?

დავასკენით, რომ ძალიან-ძალამ და მის მსგავს სიტყვებში სახელსა და ზმნას შორის მერყეუდ ფუძეებთან გვაქვს საქმე; ეს სიტყვები მსაზღვრელებია, თუ სახელებს დაუკავშირდება და ვითარების გარემოებაა. ალ ზმნასთან (შემასმენელთან) იქნება კავშირში.

ა. ჰუშინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი  
(შემოვიდა 4.12.1968)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Г. Н. КАЧАРВА  
ОБ ОДНОЙ НЕИЗВЕСТНОЙ ФУНКЦИИ ЭРГАТИВА  
В ЗАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Эргатив (госр. повествовательный падеж) занимает особое место в системе склонения иберийско-кавказских языков. В грузинском языке эргатив является падежом субъекта, но не со всеми глаголами [1].

В занском языке эргатив имеет более широкое поле действия, но в разных диалектах упомянутого языка употребление эргатива зиждется не на одинаковых принципах. Например, в чанском диалекте субъект стоит в эргативе, если сказуемое — переходный глагол независимо от ряда (resp. времени и наклонения) глагола. В мегрельском же диалекте занского языка субъект стоит в эргативе, если глагол-сказуемое находится в рядах второй серии независимо от переходности-непереходности его [3].

В настоящей работе рассмотрены примеры из мегрельского диалекта, в которых слово в эргативе выполняет функцию обстоятельства образа действия (например, *zalamk eçqinu* 'очень обиделся', *nabeṭank axiolu* 'очень обрадовался').

Как выясняется, мегрельские слова *zalami*, *nabeṭani*, *didi* ('очень', 'сильно') по происхождению являются именами прилагательными, но в данный момент обозначают обстоятельство образа действия не со всеми сказуемыми (глаголами), а с *verba sentiendi* и только в рядах второй серии.

LINGUISTICS

G. N. KACHARAVA

 ON ONE UNKNOWN FUNCTION OF THE ERGATIVE CASE  
 IN THE ZANIAN LANGUAGE

Summary

Analysis is made of examples from the Megrelian dialect of the Zanian language in which the word in the Ergative case has the function of adverbial modifier of manner (e. g. *zalamk eçqinu* 'He was very offended', *nabeṭank axiolu* 'He was very glad').

The Megrelian words *zalami* ('very'), *nabeṭani*, *didi* ('greatly') prove to be adjectives as to their origin. In modern usage they have the function of adverbial modifiers of manner, but only with the sense verbs (*verba sentiendi*) in series II.

## ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957.
2. არნ. ჩიქობავა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XVIII, თბილისი, 1941.
3. არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I. თბილისი, 1948.
4. И. Кишидзе. Грамматика мегрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПб, 1914.
5. ს. ელენტი. ჭანური ტექსტები. არქაბული კოლოკევი. თბილისი, 1938.
6. შ. ხუბუა. მგერული ტექსტები. ტფილისი, 1937.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V. თბილისი, 1958.

ИСТОРИЯ ТЕХНИКИ

К. Н. МЕЛИТАУРИ

НЕСКОЛЬКО ОБРАЗЦОВ ПЛОТНИЧЕСТВА В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

(Представлено академиком Г. А. Меликишвили 23.11.1968)

Большой курган «Гадачрили гора» на плато Бедени в Тетрицкаройском районе, изученный археологически в 1966 г. Г. Гобеджишвили и датированный концом III и началом II тысячелетий до н. э., содержал деревоземляную погребальную камеру [1].

В конструкции камеры привлекают внимание два вкопанных вершинами в землю столба, несших в свое время перекрытие камеры и земляной навал кургана. На этих столбах лежали поперечные бревна, а на них — пара коньковых бревен, несших накат перекрытия (табл. I). С целью плотной связи столбов с поперечинами сверху столбов сделаны прямоугольные вырезы шириной 20 см, в которые всажены средние части поперечин («тавхе»). Необходимость широкого выреза плотной насадки толстого поперечного бревна вынудила плотников обернуть столб комлем вверх и осуществить надежное перекрытие камеры, несущее огромную нагрузку навала земли. Эта конструкция плотничества конца III тысячелетия до н. э. фиксируется в Грузии впервые и, как нам кажется, обернутый в силу необходимости комлем вверх столб впоследствии послужил основанием для создания поразительного разнообразия художественных решений столбов — «деда бодзи» в «дарбазом» строительстве средневековой Грузии [2].

Но главное, что камера кургана «Гадачрили гора» сохранила еще обломки четырехколесного экипажа, из которых лучше сохранились одно из колес и дышло (табл. II, 1, 2). В 1967 г. Г. Гобеджишвили на Бедени же раскопал второй, малый курган более позднего времени, содержащий части четырехколесного экипажа, не бывшие, однако, в употреблении, как обнаруженные в предыдущем кургане. Кроме колес, здесь сохранились задняя ось и часть задней поперечины (табл. II, 3, 4). Идентичность конструкций и размеров колес обоих курганов, говорящая об однотипности самих экипажей, дает возможность на всем этом наборе деталей представить приблизительную конструкцию самого экипажа.

Размеры камеры большого кургана, в частности расстояние между столбами, определили междуосевое расстояние в 200—230 см, которое давало бы возможность поместить кузов экипажа с колесами между столбами камеры (табл. III). Наличие возле обеих лопастей задней оси (3) по паре гнезд нагелей (18) определило жесткую конструкцию кузова, а также расположение грядок (6) экипажа и ширину са-

мих грядок в 27 см (расстояние между гнездами нагелей 10,4 см + диаметры нагелей 2×3,5 см + расстояние нагеля до края доски грядки приблизительно 2×5 см). Путем скрепления грядок парами нагелей (17) с задней осью, а с передней с подушкой (8) даже одним нагелем (17) составлялась жесткая рама кузова. После заделки свободного пространства между грядками одной очень широкой доской (49 см) или двумя скрепленными шпонками досками получалось днище (10) кузова. Посередине задней оси, чуть левее от центра, имеется вырез 15×2 см, куда врубалась дрога (7), имевшая, видимо, изогнутость и сечение 15×4 см. Установив переднюю ось (5) между подушкой (8) и дорогой (7), а затем продев в них шкворень (9), имеющий вид деревянного болта с головкой книзу, и туго расклинив его в днище и подушке, создавали жесткую конструкцию экипажа с вращающейся передней осью. Передняя ось бралась аналогично задней, только несколько шире и выше ее с учетом ослабления последней отверстием шкворня, заделкой двух пальцев дышла (2) и наличием вблизи лопастей (14) двух отверстий (19) для крепления ремнями вальков конной упряжки. Колеса (1) массивные, дубовые, состоящие из трех частей, скрепленных скрытыми шпонками (16), которые после сборки колеса, образовывали подобие «пирона в виде ласточкиного хвоста». Насаженная на конец оси (13) ступица (12) закреплялась чекой (15).

Обнаруженная раскопками задняя поперечина (4) наклоном отворота определила легкий уклон бортов кузова наружу, давший возможность восстановить каркас кузова (11), используя грузинский этнографический материал [3]. Высота кузова должна была быть около 130 см (на чертеже показана меньше), а борты, видимо, были заделаны плетенкой из прутьев кизила («ласти»), применяемой в Грузии и поныне (для наглядности на чертеже не показаны). Эти плетеные борты, видимо, были закреплены на каркасе кожаными тесьмами снаружи. От времени кожа истлела, а плетенные борты отвалились и очутились между колесами и кузовом. При дальнейшем разрушении колесо опрокинулось вовнутрь и захлопнуло часть плетенки, отдельные прутья которой, при раскопках обнаружили под колесом большого кургана. Ширина кузова экипажа определяется довольно точно и составляет снаружи 107 см, а изнутри, лишь 80 см. Что же касается длины кузова, то она составляла около 290 см. Как видим, полезная ширина кузова в 80 см не была удобна для переброски груза и хозяйственной работы. Большая высота колес, немного меньше человеческого роста, также не была надежной для перевозки больших тяжестей. В камере большого кургана Бедени находились два человеческих скелета, при этом один располагался возле восточного столба камеры, к которому был прислонен еще и прямоугольный щит с заостренным низом (высота щита 65 см, ширина 45 см), с дощатой внутренней и обшитой войлоком наружной сторонами. Скелет находился возле передка экипажа, он принадлежит юноше, которого следует признать возницей, со ши-





Табл. I. Перекрытие камеры кургана „Гадачрили гора“: 1—столб („деда Содан“); 2—комель; 3—вершина; 4—деревянные клинья; 5—погережина (тавхе); 6—коньковая пара; 7—накат; 8—настил из бревен и пласти; реконструкция автора

Табл. II. Детали колесницы 1—колесо и 2—дышло из кургана „Гадачрили гора“; 3—задняя ось и 4—задняя поперечина из малого кургана; обмеры автора




Табл. III. Аксонометрический разрез колесницы и деталь передка с видом снизу: 1—колеса; 2—дышло; 3—задняя ось; 4—поперечины; 5—передняя ось; 6—грядки; 7—дрога; 8—подушка; 9—шкворень; 10—днище; 11—каркас кузова; 12—ступица; 13—конец оси; 14—лопасть оси; 15—чека; 16—шпонки, расклинивающиеся при сборке колеса; 17—нагели; 18—гнезда нагелей; 19—отверстия для прикрепления ремней; реконструкция автора

том, что как нельзя лучше отвечает всем характерным чертам четырехколесных колесниц, изображенных на штандарте из Ура, конца IV и начала III тысячелетий до н. э. «В кузове этой древнейшей колесницы находились только два человека — кучер и воин, вооруженный метательным копьем» [4].

Таким образом, в конце III тысячелетия до н. э. в Грузии, в Квемо Картли, применялись четырехколесные боевые колесницы, о чем говорят бывшие в употреблении детали экипажа большого кургана Бедени. В запряженной конями четырехколесной боевой колеснице находились воин, вооруженный метательными копьями — «цатеби» («цати» — дреколье), и возница со щитом. Что же касается вождя то он выступал всадником. Нам кажется, что умершего вождя потому-то и несли на носилках, к месту погребения в сопровождении колесницы, воинов и народа. По этой же причине в погребальной камере носилки поместили не на колесницу, а перед ней, на полу камеры. В последующее время колесница потеряла боевое и символическое значение и ее уже не изготовляли при жизни вождя как необходимую принадлежность; ее изготовляли лишь после его смерти для помещения в погребальной камере, притом наспех и небрежно, о чем красноречиво говорит материал раскопок 1967 г. малого кургана Бедени.

Академия наук Грузинской ССР  
 Институт истории, археологии и этнографии  
 им. Д. Джавахишвили

(Поступило 26.11.1968)

ბედენის ისტორია

ა. მელითაური

ხითხურობის რამდენიმე ნიმუში ძველ საქართველოში

რეზიუმე

განხილულია მზიდავი ბოძის თავდაღმა დასმისა და ოთხთვლიანი საბრძოლო ეტლის საკითხი ძ. წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის.

HISTORY OF ENGINEERING

K. N. MELITURI

SOME SAMPLES OF CARPENTRY IN OLD GEORGIA

Summary

The questions of rooting the carrying wooden pillar in the ground by the top and of the four-wheeled chariot in the 3rd millennium B.C. are considered.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. Г. Гобеджишвили. Друзья памятников культуры. Тбилиси, 12, 1957, 13—22.
2. Л. Сумбадзе. Грузинские дарбази. Тбилиси, 1960, 23—32, табл. 3—5, 22.
3. М. Гегешидзе. Грузинский народный транспорт, I — сухопутные средства перевозки. Тбилиси, 1956, 157—176.
4. Н. Лурье, К. Ляпунова, М. Матье, Б. Пиотровский, Н. Флитнер. История техники древнего Востока. М., 1940, 119—120, рис. 81.



რითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მიჩვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე, წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფაქტობრივ ან მელნივით.

9. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცლებზე. საჭიროა, დაეცეს იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საეუროპო შრომა, გუჩვენეთ ეუროპის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია გუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვლავ რატულ ფრჩხილებში ნაჩვენებია უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს, სად შეუშაბს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

10. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ჟურნალებში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ კალად).

11. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შერეული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუბოვის ქ. № 15; ტელ. 37-22-16; 37-93-42

ხელმოწერის პირობები: ერთი წლით—12 მან.

## К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале „Сообщения АН ГССР“ публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содер­жащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утверждён Президиумом АН ГССР.

2. В „Сообщениях“ не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН ГССР принимаются непосредственно в редакции „Сообщений“, статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН ГССР. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в „Сообщениях“ не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в „Сообщениях“ не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском или на русском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме—к грузинскому тексту на русском языке, а к русскому на грузинском, а также краткое резюме на английском языке. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приво-

(Продолжение см. на 4-й странице обложки)

димой в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (3000 типографских знаков), или семи стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—шести страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

5. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

6. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

7. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи; справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

8. Иллюстрации и чертежи должны быть представлены по одному экземпляру в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически и в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подписанные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными—две черты черным карандашом, над строчными—также две черты черным карандашом. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

9. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем—фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания, а если цитирована книга,—полное название книги, место и год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в списках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

10. Краткое содержание всех опубликованных в „Сообщениях“ статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

11. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде (в строго ограниченный срок (не более двух дней)). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автору выдается бесплатно 25 отписок статьи.

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 15, телефон 37-22-16, 37-93-42

Условия подписки: на год—12 руб.